№ 120

# საქართველოს მაცნე

№ 120

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. ვერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ 7 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## ᲡᲐᲥᲐᲚᲩᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ყოველ-დღიურ გაკოცემის გარდა გაზეთს ეძლევა კვირეული

## ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲐᲢᲔᲑᲐ

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კვკვასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დამეტდა პირველ გვერდზე თითოეულ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ფული საათის შემდეგ მეტი მეღირება.

* * * *ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲚ* * * *
* * * * * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა დღეა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

26 ენკენისთვეს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ივანე მერაბის ძე დავლიანიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავები და ნაცნობთ მეუღლე მისი **ანასტასია კაციას ასული** და **შვილი პეტრე ივანეს ძე.** პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ავჭალის ეკლესია № 1. გამოსვენება ხუთშაბათს, 30 ენკენისთვეს, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე, კუკიაში. (3—3)

**ანასტასია თადეოზის ასული, გიორგი, თადეოზი, ერეკლე პავლეს ძენი** და **მარიამ პავლეს ასული ბურჯანიძეები, ნინო პავლეს ასული აბესალაშვილი შვილით** და **ეკატერინე პავლეს ასული ქუთათელაძისა** ქმრით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა გარდაცვალებას პირველი ძვირფას ქმრისას და მეორენი საყვარელ მამისას

## პავლე გიორგის ძის ბურჯანიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე (კვირაცხოვ. ქ., № 25), დღისით 1 ს.და საღამ. 7 ს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—100—1)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ დღეს, 30 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩა, № 11, გადახდილ იქნება ამა ბანკის საქმის მწარმოებლის გარდა კვალებულის

## პავლე გიორგის ძის ბურჯანიძის

სულის მოსახსენებლად.

ტელეფონი № 862. **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲘᲐᲢᲠᲘ** წარმოდგენა № 3.

პარასკევს, 1 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგად. კასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა:**

## ᲡᲘᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔ

დრამა 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ვიქტორელი მ., ლოლუა ა., ქილარჯიმვილი მ., მღვთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მატარაძე გ., მგალობლიშვილი დ., მამფორა ი., მალიკაშკილი ვ.

**ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.**

**ადმინისტრაცია** ქართ. დრამ. საზოგადოებისა. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—80 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

**ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲚ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათვალერო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მეხუთე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სატანა“, გოზდინისა, „მზეს ამოსვლამ დის“, ჰაუპტმანისა; „ორი ენენა“, ბატალიხა; „ქალის ჭკვა“, მისს გოგბერისა და სხ.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

გაფართოებულია და სტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფს მიიღებენ სპეციალიტი ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ მ. Ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**ᲒᲣᲠᲙᲘᲜ Გ. Ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**ᲙᲐᲠᲜᲘᲜᲘ Ა. Ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**ᲛᲐᲚᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ Გ. Გ.** შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

**ᲭᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ ტ. Ბ.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**ᲛᲐᲜᲡᲕᲔᲢᲝᲕᲘ Გ. Მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ Გ. Ბ.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

**ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. Ბ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ᲤᲘᲠᲐᲓᲝᲕᲘ რ. Ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**ᲑᲐᲠᲐᲗᲝᲕᲘ ვ. Ა.** ყურ., ყელის და ცხვ., ყოველ დღე 2—2-ნახ. ს.

**ᲮᲝᲠᲑᲚᲔᲕᲡᲙᲘ Გ. Გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროკიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რიგი ლიბრ 50 კ., საწოლიანი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტროთერაპია, ინექციები, ალბომინურია, ალბუმინურია, ალბუმინურია, ალბუმ

იმედი უნდა გვქონდეს, რომ ახალი მინისტრი ცხოველ-საყოფელ სხივს შეუშვებს სასწავლებელში და ეიავის მოქმედების დროს მხოლოდ პედაგოგიურის მოსაზრებებით იხელმძღვანელებს. ის უფრო მოსალოდნელია, ამის საუკეთესო თავ-მდებია.

# რევოლუცია პორტუგალიაში

(ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲒᲘᲓᲐᲜ)

**ლისაბონი.** ოფიციალმა ორგანომ ახალის მთავრობისამ გამოაქვეყნა ძველს პორტუგალიურს კანონზე დამყარებული დეკრეტი, რომლითაც იეზუიტნი განიდევნებიან, ყველა მათი დაწესებულება უქმდება, ქონება გამოცხადებულია სახელმწიფოს კუთვნილებად. რელიგიურ საზოგადოებათა კუთვნილებადქონება დაბეჭდილ და დაფასებულ იქნება.

**გიბრალტარი.** მანუელ მეფემ, წასვლის წინად, მინისტრ პრეზიდენტისადმი მიმართულ წერილით განუცხადა ხალხს, რომ არასფერში შეუძლიან თავის თავს ესაყვედუროს, იგი მოქმედებდა ყოველთვის, როგორც კარგი პორტუგალელი და ასეთადვე რჩება სამერმისოდ; იმედი აქვს, რომ ხალხი მას ღირსეულს მიუზღავს; წასვლა მისი არას გზით არ ნიშნავს ტახტიდან გადადგომას.

**ლისაბონი.** ტახოსთან მდგარი პორტუგალიის სამი კრეისერი სამხედრო წინამძღოლობის ქვეშ იმყოფება. მათთან მისვლა აღკრძალულია.

**რომი.** იტალია იღებს ზომებს, რომ აღუკრძალოს პორტუგალიიდან განდევნილ კონგრეგაციებს იტალიაში დაბინავება.

**ლისაბონი.** რამდენიმე ეკლესია გაიხსნა. მათზე ფრიალებს უცხოეთის ბაირაღები. ნუნციუსმა აღმართა ავსტრიის ბაირაღი.

—

**პორტუგალიის სამეფო გვარეულობის უკანასკნელი დღენი.**

პორტუგალიაში დღემდე მეფობდა ბრაგანცის გვარი. მანუელი ამ გვარეულობის უკანასკნელი მეფე იყო. მის ტახტზე ასვლას დიდი უბედურება წარუძღვა წინ. მამა მისი კარლოსი 1 თებერვალს მოჰკლეს. მოჰკლეს აგრეთვე მანუელის ძმა, რომელიც ტახტის მემკვიდრედ იყო გამოცხადებული. ამავე დღეს მსუბუქად დიჭრა თვით მანუელი.

მეფე კარლოსის მოკვლა „თეთრი ტერორის“ შედეგი იყო. ეს ტერორი დიქტატორმა ფრანკომ შემოიღო პორტუგალიაში. ფრანკო მოურიდებლად სთელავდა ფეხ-ქვეშ პორტუგალიის პარლამენტს.

10 მაის 1909 წელს დიქტატორმა ფრანკომ, კონსტიტუციის დებულებათა წინააღმდეგ, დაითხოვა პარლამენტი და მედიდურად გამოაცხადა, რომ იგი უპალატოდაც კეთილდღეობას მიანიჭებს პორტუგალიის ხალხს. ამან აღელვა ხალხი და რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო. მაშინ ფრანკო დათმობის გზას დაადგა და მეფეს ურჩია ახალ პარლამენტის მოწვევა. მაგრამ ხალხი ისე ძლიერ იყო ამხედრებული მთავრობის წინააღმდეგ, რომ აღარც კი ირწმუნა ეს განცხადება და მეფე კარლოსი შვილითურთ მოედანზე მოჰკლეს.

როდესაც მეფე მანუელი ტახზე ავიდა, იგი იძულებული გახდა ფრანკო თავიდან მოეშორებინა და პარლამენტი მოეწვია. პირველად შედგენილ კაბინეტის მეთაურად ადმირალი ამარალი იყო. ხოლო კაბინეტში ჭრელი ხალხი მოჰყვა, როგორც კონსერვატორები, ისე პროგრესისტები. ამათი არჩევა კაბინეტში იმის შედეგი იყო, რომ ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ პროკლამაციები გამოსცეს და მთელს ხალხს კონსტიტუციის დასაცველად მოუწოდეს. ამ პროკლამაციამ მათ სახელი და ხალხის ნდობა მოუპოვა.

მეფე კარლოსის მოკვლის შემდეგ მოსალოდნელი არევ დარევა არ მოხდა პორტუგალიაში. იმის შიშით, რომ მოსალოდნელი იყო პორტუგალიის შინაგან საქმეებში ევროპა ჩარეულიყო, ყველა პარტიები გაერთიანდნენ. ამ სახით ადმირალ ამარალის მიერ შემდგარმა კაბინეტმა ფეხი მოიკიდა და წესიერება დაამყარა.

პორტუგალიის დამშვიდებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მის საქმეებით დაინტერესებული იყო ორი მეტოქე სახელმწიფო, ინგლისი და გერმანია. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში პორტუგალიას ინგლისის მთავრობა უწევდა მფარველობას. ამისი დამასაბუთებელი ისიც იყო, რომ ინგლის-ბურების ომის დროს, ინგლისის დამსჯელი რაზმები პორტუგალიის ახალშენებში აფარებდნენ თავს.

ამის გამო მეფე მანუელიც ინგლისის მეფე ედუარდის მფარველობით სარგებლობდა. ამათს განწყობილებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ედუარდი დიდი მეგობარი იყო მოკლულის მეფის კარლოსისა, რომელსაც მხარს უჭერდა კარლოსისავე მეგობარი მარკიზი სავოროლა, ლონდონში მყოფი პორტუგალიის დესპანი.

მეორეს მხრივ გერმანია ყოველ ღონისძიებასა ხმარობდა, რომ პორტუგალია როგორმე ჩამოეშორებინა ინგლისისაგან და გაენთავისუფლებინა ინგლისის გარეშე პოლიტიკის გავლენისაგან.

ამ გარემოებამ, ამ ორ სახელმწიფოს მფარველობითი მზრუნველობამ, გადაარჩინა პორტუგალია გარეშე სახელმწიფოთა ჩარევისაგან.

ადმირალ ამარალის კაბინეტმა მთელს წელიწადს გასძლო. მის მერე შემდგარმა კაბინეტმა, გენერალ-კუელისამ, მხოლოდ ხუთ თვეს გასძლო. მესამე კაბინეტი ტელესისა—მხოლოდ 5 კვირას მოქმედებდა; მეოთხე კაბინეტი,—ლიმასი—მხოლოდ 6 თვეს, მეხუთე—ბეიჩაოსი—5 თვეს, ხოლო მეექვსე და უკანასკნელიც—ტეკსეიერორდე სუზისა—4 თვეს.

ასეთი ხშირი ცვლა კაბინეტისა, ცხადია, იმის შედეგი იყო, რომ დიქტატორ ფრანკოს მიერ დარღვეული კონსტიტუცია, ასე ადვილად ველარ ჩადგა თავის ბუნებრივ კალაპოტში.

უფრო თვალსაჩინო და პორტუგალიის სწორე გზაზე დამყენებელი კაბინეტი იყო სიმას დროს; ამ კაბინეტში აირჩიეს ოთხი სამხედრო პირი და სამი პერი.

ამ კაბინეტს მხარს უჭერდნენ პროგრესისტებიც, რომელთა მეთაურად კასტრო იყო (კასტრო დღეს დროებით მთავრობის წევრად აირჩიეს).

მაგრამ მხოლოდ კეთილ გულის თქმით ხომ არ იკვებება ქვეყანა. და ამ კაბინეტმაც ლელო ვერ ყაიტანა. პალატა ორ ჯგუფად გაიყო: რადიკლები, პროგრესისტები, პრემიერად ნამყოფ პენრიკუეცის მომხრენი და მცირე ნაწილი კლერიკალებისა დე-კასტროს მეთაურობით ცალკე ჯგუფს შეადგენდნენ, ხოლო კონსერვატორები, პროგრესისტებთან გაერთიანებული დისსიდენტები და თითქმის რესპუბლიკანელებიც—მეორე ჯგუფში ჩადგნენ.

ერთი ჯგუფი ძველს წესწყობილობას ესარჩლებოდა, მეორე—ახალის დამყარებას ეწრაფოდა.

ლიმას კაბინეტი ორივე მიმართულების გაერთებასა და მორიგებასა სცდილობდა, მიგრამ შეუძლებელი ვერ შესძლო. ლიმას კაბინეტიც დაეცა.

შემდეგ ერთფეროვანი კაბინეტი შესდგა ბეიჩაოს მეთაურობით. ახალმა კაბინეტმა მოისურვა ძირითადი ზომები მიეღო ერის წყენულის განსაკურნებლად. მან მოითხოვა, რომ 20 დეკემბერს კორტესები მოეწვიათ. შემდეგ განზრახული ჰქონდათ ორის თვით შეეჩერებინა პარლამენტის მუშაობა და ამ ხანის განმავლობაში შეემუშავებინა ახალი რეფორმები, განსაკუთრებით პოლიტიკური. სურდათ გადაესინჯათ კონსტიტუციის დებულებანი, საარჩევნო კანონი და სხ. მაგრამ ვერც ამ კაბინეტმა შესძლო სურვილის განხორციელება.

არჩევნები მოხდა 15 აკვისტოს 1910 წელს. ამ არჩევნებმა ცხადჰყო, რომ პორტუგალიის ხალხის უმრავლესობა რესპუბლისაკენ იხრება.

წინანდელ 7 რესპუბლიკანელთა მაგიერ, ახლა 15 რესპუბლიკანელი აირჩიეს.

რესპუბლიკელთა მომხრენი განსაკუთრებით ლისაბონში აღმოჩნდნენ (60%). ლისაბონის ამრჩევლებმა, სხვათა შორის, ერთი რესპუბლიკის მომხრე ადმირალიც აირჩიეს.

ამ არჩევნებმა ცხადად დაანახვა სთელს ხალხსა და ევროპასაც, რომ პორტუგალიის მაშინდელი კაბინეტი განსაცდელშია და თვით მეფე მანუელსაც კარგი არა მოელის რა.

საფრანგეთის ბირჟა გაფაციცებით თვალს ადევნებდა პორტუგალიის პოლიტიკურ რყევას, მით უმეტეს რომ აქ ფრანგებს დიდძალი თინხა ჰქონდათ დაბანდებული.

ევროპა, ამის გამო, კარგად იცნობს დღევანდელ დროებით მთავრობის ზოგიერთ წევრთ, როგორც მაგალითად კოსტას.

ალფონს კოსტა, რომელიც ეხლა იუსტიციის მინისტრად მიიწვიეს, დიქტატორობის დროს დატუსაღებული იყო, მაგრამ გაპარვა მოახერხა. სანამ მას დაატუსაღებდნენ, იგი ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ხოლმ ე პარლამენტში. კოსტი წინააღმდეგი იყო იმისიც, რომ მეფე კარლოსს ავანსად ვექსილებით ეძღვნა ხოლმე ფული.

ერთხელ კოსტამ სთქვა პარლამენტში:

„ის ქვეყანა, რომელსაც თავის რწმუნებულად პირველი მინისტრი ჰყავს, მოვალეა მოსთხოვოს, რომ დაუყოვნებლივ გაანაღდოს ეს უკანონო ვექსილები და უთხრას იმ პიროვნებას, რომელიც ხალხის ფულით სარგებლობს: „სინიორ, დასტოვეთ ეს მხარე, რომ უარესი არა შეგემთხვეთ რა.“

პრეზიდენტმა სიტყვა გააწყვეტინა კოსტას და მოსთხოვა, რომ ეს სიტყვები უკანვე წაეღო. კოსტამ მტკიცედ უპასუხა: „არც ერთ სიტყვას არ წავიღებ უკან... იმაზე უფრო მცირე ცოდვებისათვის, რაც მეფე კარლოსს მიუძღვის ლუდოვიკო მე-16 ეშაფოტზე აიყვანეს.“

კოსტა პრეზიდენტის ბრძანებით პარლამენტის დარბაზიდან გაიყვანეს.

# ᲤᲘᲜᲚᲐᲜᲓᲘᲐ

როდესაც გაზეთ „სავოს“ კორესპონდენტი შეეკითხა ფინლანდიის სეიმის თავმჯდომარეს—სვინხუვუდს, რა პასუხი უნდა გასცეს ფინლანდიამ თუ სეიმი დაითხოვესო, სვინხუვუდმა შემდეგი განაცხადა:

—სეიმის მალ-მალ დათხოვნით რუსეთის ბიუროკრატიას ჰურდა ხალხი დაეღალა, მაგრამ ახალი არჩევნები, რუსებისათვის სასურველ შედეგს მაინც არ იძლეოდა. ამ შემთხვევაში რუსის მთავრობა მარტო ამითი იფხანდა გულს რომ ახალი არჩევნების დანიშვნით ხალხი თავის საღღეისო საქმეს სცდებოდა და ფინლანდიის სხვა-და-სხვა პარტიათა შორის ბრძოლა მწვავდებოდა, რის გამოც ჩვენი ქვეყნის ძალნი იქსაქსებოდა.

მაგრამ ახლა კი რუსის მთავრობის ამ გვარ პოლიტიკას, მგონი, შესაფერი პასუხს გავცემთ.

თუ რუსის ბიუროკრატიამ კვლავ მოინდომა ჩვენი ხალხის „დასჯა“ და სეიმი კვლავ დაითხოვა, მაშინ ყველა პარტიები ერთ ამომრჩეველ კავშირად გადაიქცევიან. ამ კავშირს თითოეულ ოლქში თავისი წარმომომადგენელები ეყოლება და ისევ ძველ დეპუტატებს აირჩევენ.

ამ გვარის ჩვენის მოქმედებით არც ჩვენი ქვეყნის ნორმალური ცხოვრება დაირღვევა და სეიმთა დათხოვნაც უშედეგო და უმნიშვნელო იქმნება. მე წინადაც ამ აზრისა ვიყავ, რომ ყველა პარტიებს ამომრჩეველთა ერთი კავშირი გვქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ მაშინ პარტიათა შორის უფრო გამწვავებული ურთიერთობა იყო. დღეს კი ეს დამოკიდებულება ბევრად გაუმჯობესდა და ჩვენი ქვეყანა [illegible] ტი და უხვირო იქნება, რომ ზემოდ აღნიშნული ზომები თავის დაცვისა არ მიიღოს.

ასეთი შეერთებული და ერის მიერ ერთხმად მიცემული პასუხი იმის დამამტკიცებელი იქმნება, რომ რუსეთის მიერ ჩვენდამი მომართული ძალდატანება მხოლოდ ბავშვობაა და სხვა არაფერი. გარდა ამისა ასეთი ჩვენი პასუხი საყურადღებო მოვლენა იქმნება პარლამენტის ისტორიაში და განათლებული ევროპა თავის თვალით დაინახავს, რომ ჩვენი,—ფინლანდიელთა, ბრძოლა სულ ახალი რამ საქმეა.

დასასრულ ბ-ნმა სვინხუვუდმა სთქვა:

—მე ღრმადა ვარ დარწმუნებული რომ, თუ რუსეთის ბიუროკრატიამ კვლავ მოინდომა ჩვენი „დასჯა“, ჩვენის პარტიების კეთილ-გონიერება იმდენად შორს მეკვრეტელია, რომ ჩემ გეგმას აღასრულებენ და მაშინ ვნახავთ, ვინ რას გაიტანსო.

# ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲒᲘ

(ᲛᲘᲗᲠᲩ. ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲗᲐ ᲡᲐᲮᲒᲐᲜᲗᲝᲡᲐᲒᲐᲜ)

28 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ**

**ბერლინი.** საიუბილეო აქტზე უნივერსიტეტში დაესწრნენ: იმპერატორი მეუღლითურთ, ტახტის მემკვიდრე, პრინცები და პრინცესები, უმაღლესი მოხელენი, პარლამენტის პრეზიდენტები, უცხოეთის უნივერსიტეტთა რექტორები და მრავალი საპატიო სტუმარი. დერეფანში იდგა საპატიო დარაჯი იმპერატორის ალექსანდრეს პოლკისა, იდგნენ წყობ-წყობად სტუდენტთა კორპორაციების არჩეულნი საღღესასწაულო ფორმით. რექტორმა მისალოცსიტყვაში დახატა სურათი საუნივერსიტეტო მეცნიერების ძლიერის განვითარებისა ასის წლის განმავლობაში და აღნუსხა უმაღლესი საკითხები, რასაც თანამედროვე ცხოვრება წინ უყენებს უნივერსიტეტებს. შემდეგ იმპერატორი ვილჰელმი აღვიდა ტრიბუნაზე და აღნიშნა ბერლინის უნივერსიტეტის საერთა შორისო მნიშვნელობა, ხაზი გაუსვა აკადემიებსა და უნივერსიტეტებთან საგანგებო დამოუკიდებელ სამეცნიერო ინსტიტუტების დაარსების საჭიროებას; რაიცა შეეხება გამოკვლევას ბუნების მეტყველების დარგში, ასეთ ორგანიზაციებს ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, ინდოეთში, ავსტრალიაში, ბელგიაში, ავსტრიაში, ბავარიაში, ბოჰემიაში, ბერლინში, ბუდაპეშტში, ბრიუსელში, ვენაში, ვენეციაში, ვარშავაში, ვიენაში, ვიტებსკში, ვოლოგდაში, ვოლოკოლამსკში, ვოლოგოროდში, ვოლოგოროდსკში, ვოლოგოროდსკ-ოსტროგში, ვოლოგოროდ-ოსტროგში, ვოლოგოროდ-ოსტროგ-ბოგოროდიცკში, ვოლოგოროდ-ოსტროგ-ბოგოროდიცკ-ოსტროგში, ვოლოგოროდ-ოსტროგ-ბოგოროდიცკ-ოსტროგ-ბოგოროდიცკში, ვოლოგოროდ-ოსტროგ-ბოგოროდიცკ-ოსტროგ-ბოგოროდიცკ-ოსტროგში, ვოლოგოროდ-ოსტროგ-ბოგოროდიცკ-ოსტროგ-ბოგოროდიცკ-ოსტროგ-ბოგოროდიცკში, ... [illegible]

# ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ

14.

იაკობის მეორე ვაჟი დათიკო, სხვა ხასიათისა და მიმართულებისა დადგა. სიმკროდანვე ეტყობოდა, რომ პირი სხვა მხარეს ეჭირა: არც ეკლესიისაკენ იყურებოდა, არც მიწას ჩაჰხაროდა, გაქსუებული დადიოდა.

აბრამის შემდეგ იაკობ მღვდელს ზედიზედ ქალები მიეცნენ და დედამამას მოენატრა ვაჟი. ღმერთმა უსმინა მათ: ნატვრა აღუსრულდათ, ვაჟი მიეცათ. სახლი ზედ შემოევლო ბალღს: გაანებივრეს, გათხლიშეს. დედისა და დების კალთაზე სათუთად გაზრდილმა ბავშვმა შემდეგში ძალიან იუცხოვა ყოველგვარი ზრუნვა. ლიტრა რომ ფეხ ქვეშ ჰგორებოდა, არ ააყენებდა.

—ჯერ პატარაა ქა! წამოიზრდება, თავზე ხელს მოისვამს და ჰნახამთ, როგორ ჯარასავით დატრიალდება. ბოდიშსა ჰხდიდნენ უქნარას.

—რაღა დროს მაგის პატარობაა?! მაგ ხანში აბრამი სწორედ ძვირფასი მოზრდილი იყო სახლში, ამბობდა მისი მამა და არ მოსწონდა დათიკოს უსაქმობა.

თავისუფლადა გრძნობდა ბავშვი თავს და მთელი დღე უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა წყალზე, ტყეში, მინდორში. ამ დღე ჩიტებს დასდევდა—ან ძაღლს თუ კატას ეთამაშებოდა. სკადა მისმა მამამ საეკლესიო წიგნები და წესი შეეყვარებინა მისთვის, საყდარში თუ მრევლში მღვდლის მოხმარებას შეეჩვია, მაგრამ ამოდ: ფსალმუნების დაზეპირებას ხანგრძლივი ჯდომა უნდოდა და ჩიჩინი, მას კი არც ერთი ეხერხებოდა, არც მეორე. არც საყდარში უდგებოდა გული: ერთ ადგილას გაჩერება და დგომა ენაჯიშებოდა. უნიჭო კი არა სჩანდა: ოღონდ ყური მოეკრა რისთვისმე და მისი დაუხსომებელი არ გადარჩებოდა. ის იყო საკვირველი, რომ ბავშვი არც ეკრძალებოდა ვისმე, არც ეხათრებოდა. იაკობ მღვდლისა ხომ ყველას დიდი ხათრი ჰქონდა ოჯახში, არც ცოლი, არც შვილი ადვილად არას შეჰკადრებდნენ, დათიკო კი არაფრად აგდებდა მას და ყურადღებასაც არ აქცევდა მის დარიგებას, შუბლის შეკვრას ან ჯავრობას. ლირფი რამ იზრდებოდა ღვთის გარეგანი.

—ძალიან თავის წვერა ბავშვია და თავხედი, სწორედ კისერს მოიტეხს სადმე ეგ ცოდვილი, იტყოდა მისი მამა დაფიქრებული.

სასწავლებელში დათიკომ ფხა გამოიჩინა: დაუბრკოლებლივ გადადიოდა კლასიდან კლასში. ბედმაც გაუღიმა: ექსარხოსის მგალობელთა ლოტბარმა გასინჯა მოწაფეები და მოიწონა დათიკოს ხმა. ბალღი ჩარიცხეს მგალობელთა დასში და დაბინავეს არქიელის ხარჯზე. ეხლა ის კარგად სჭამდა, კარგად სვამდა, თავისუფლადაც გრძნობდა თავს, რადგან გალობას ადვილად მიხვდა და დაიმსახურა უფროსის ყურადღება. არქიელის მგალობლებს სასწავლებელში შეღავათს აძლევდნენ და დათიკო დაუბრკოლებლივ გადადიოდა კლასიდან კლასში და ყოველ წელიწადს გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ. სიხარული კი არ მოჰქონდა და თან; ალქაღი, დაუდგრომელი, ენიანი ახალგაზრდა პირველ დღეებშივე თავს აბეზრებდა ყველას. არც საქმეს უხაროდა მისი სახლში დაბრუნება: მთელ ზაფხულს ისე გაატარებდა, ჩხირს არ გადააბრუნებდა; ეშინოდა ხელებს კანის სინაზე და სიფაქიზე არ დაჰკარგოდა. დაშტერებით შეჰყურებდა სამეზობლოდ მოსულ სოფლის გოგოებს მზისგან დარუჟულ ტიტველ-ტიტველა გაზებში.

სწავლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე კვირა დარჩა სოფლად, წაჰგლიჯა მამას ნაღდი რამ და გასწია ტფილისისაკენ. დათიკო შეცურდა ქალაქის ტბორში და ხან ყურყუმელობდა შიგ, ხან ამოჩნდებოდა აქა თუ იქ; ხან თითონ იჭერდა თევზს მღვრიე წყალში, ხან თითონვე წამოედებოდა უფრო მარჯვე მეთევზურის ანკესს. ათას სამსახურს იცვლიდა, ყველგან კი ფეხი უსხლტებოდა: შრომას თხოულობდნენ და მუყაითობას, იმას კი არც ერთი შეეძლო, არც მეორე. ერთხელ მახეშიც გაყო თავი: მოეხიბლა ჭაბუკი ბჭყვრიალასა მას ვერცხლისასა და ხელი გეპარებინა ჩხრიალასაკენ, ძლივს დააძვრინა თავი. ორჯელ სამჯერ საკვირველი წერილიც მოუვიდა მისგან მის მამას: ფულსა თხოულობდა აჩქარებით; ჩემი ბედი მაჯ ფულის გამოგზავნაზედ არისო დამოკიდებული, იწერებოდა.

—ნეტა რად უნდა ი ბიჭს ფული და მერე ერთად ამოდენა?! ხუთი თუმანი! ადვილად იტყვის ენა. განა ადვილი საშოვარია ამოდენა ფული ერთად, რომ ავიღო და გავუგზავნო, ფიქრობდა განცვიფრებული იაკობ მღვდელი.

მართლა და ათასში ერთხელ თუ შეუგროვდებოდა იაკობ მღვდელს ამოდენა ფული ერთად. ან საიდან უნდა ეშოვნა ნაღდი? მრევლიდან იმოდენაც ვერ შემოდიოდა, რომ მოსეს გასწორებოდა ნისიად წამოღებულ ჩით-ჩუთში და ხშირად პურსა თუ ქერს უწყამდა მას. პური, ღვინო და ყველა ღვთის მოწყალება უხვადა ჰქონდა ოჯახში, მაგრამ ჯალაბიც დიდი იყო, გამოსაკვები ბევრი ეხვია თავს და არ შეიძლებოდა ამ ქონების კარზე გატანა და ნაღდად ქცევა. საზრდო მეორე წლისთვისაც უნდა შეჰყოლოდა სახლს: შეუძლებელი იყო წინადვე ეთქვა ადამიანს, როგორი წელიწადი დაბრუნდებოდა შემდეგ. იაკობი ვერ უგზავნიდა ფულს. შვილის ამგვარ თხოვნებზე მამა მხოლოდ გულმტკივნეულ წერილით უპასუხებდა და ეეჭვრებოდა შინ დაბრუნებულიყო, სოფლად, გაჭირვების თავიდან ასაცილებლად.

—ყოველივე უხვადა გვაქვს სახლში და უყვედური; ჩამოდი, იცხოვრე შენს ჭერ ქვეშ. ჩვენც გაგვახარე და შემოგვეშველე, შენს თავსაც ნუ სტანჯავ.

მაგრამ რა ჭირდ უნდოდა დათიკოს ან მამის დარიგება, ან სოფლური ღვთის მოწყალება?! მას ფული უნდოდა, რომ ეცხოვრნა განთლებულად: ჩაეცვა და დაეხურნა კოპწიად, თეატრსა და გასართობებს არ მოჰკლებოდა, მეგობრები რომ ბანქოს თამაშს შეუდგებოდნენ, ეკუარა ქცეულიყო უვერცხლოდ სირცხვილეული. ნაღდი უნდოდა მას ბლომად, ნაღდი! გარნა ფულს ვერა შოულობდა იგი საკმარისს. დაწყეული საათზე იყო გაჩენილი და, დახეთ! სწავლა დამთავრებულ ქოჩორა ახალგაზრდას ხან ფეხთსაცმელი დაჰქონდა ლონჯად მოღრეცილი, ხოლო შაპო კეწკეწი; ხან მაღალქუსლა მარჯვედ ჩახლართულ ჩაღიღიული წუღები, ხოლო ქუდი მწარედ დაღრეჯილი და ფრთებ ჩამოყრილი.

15.

ეს იყო იაკობ მღვდლის დარდი, რომელიც განუყრელად სდევდა მას თან. ეს ნაღვლი ხან მიწყლდებოდა და თითქმის განქრებოდა, როგორც სიზმარი რამ მძიმე, როდესაც სახლში მოვიდოდა ამბავი, დათიკოსთვის ადგილი მიუკიათ და ჯამაგირში ჩავარდნილაო, ხან ძლიერდებოდა და სევდად გარდაიქმნებოდა, როდესაც რამე უგვან ამბავს გაიგებდა მის შესახებ ან წერილი მოუვიდოდა შეუფერებელი. დარდის მთლად გაქრობა კი იაკობ მღვდლის გულიდან ვერ მოხერხდა: მას ვერ შეეგნო, რაღას უნდა ეცხოვრებინა ადამიანი, თუ იგი ფესვებს ვერ აიცილებდა წიაღგან და ბურბუშელისავით აგორდებოდა ცხოვრების ტრიალ მინდორზედ.

—ვერ აკია აგერ ოცდა ექვსი წლისა, მთელ ოჯახს უნდა აცხოვრებდეს ეხლა, იმედი უნდა იყოს თავის თავისაც და სხვისაც, ის კი ვერ გამაგრებულა ერთ ალაგას, ბინა ვერსად დაუდგია საბოლოოდ, დღედ-ეურად სცხოვრობს და პატარასავით თვალი ისევ შინისაკენ უჭირავს. სადაური განათლებაა ეს და ცხოვრებისთვის შემზადებაა?! დარდობდა მოძღვარი.

სხვად იაკობ მღვდელის ცხოვრება მიდიოდა მშვიდად, ერთგვარად, აუღელვებლივ. მას მარტივადა ჰქონდა ცხოვრება მოწყობილი და საღად დაყენებული. მის ცხოვრების გზაზე ქარიშხალი არ იცოდა, მხოლოდ უმნიშვნელო ღელვა იყო ხანდისხან. ჭერი თავისი ჰქონდა უყვედური და არ ეშინოდა ვისმე განედევნა იქიდან: მისი ოჯახი, პური და ღვინო არ შემოელევოდა, რადგან მისი ოფლით მორწყული მაღლიანი დედა-მიწა აღმოუცენებდა მას ნაყოფს კეთილს, არასოდეს არ ეთაკვლებდა თავის ერთგულ შვილს, არ გაჰხდიდა შვილსა მართალთასა მთხოველს პურისა. კმაყოფილი იყო მოძღვარი თავის ბედისა და ჰმადლობდა გამჩენელს, რომელს მიენიჭებინა მისთვის სიცოცხლე ძვირფასი და მიეპყრო საზრდო საიმედო,

ზაციათა დაარსება იმპერატორს მიაჩნია ეხლანდელის დროს სამღვთო საქმედ. ამ მიზნისათვის ,ერძო შემომწირველთაგან შემოვიდა იმპერატორის განკარგულებაში ამ ,ამად უკვე ათი მილიონი. ახლა იმპერატორს სურს დაარსოს თავისის მფარველობის ქვეშ, თავის სახელობის საზოგადოება ამ გვარ ინსტიტუტთა დასაარსებლად და დასახმარებლად, რომელსაც გადასცემს შეკრებილს თანხებს; იმპერატორი ჰფიქრობს, რომ სახელმწიფო დახმარებას გაუწევს ამ დაწესებულებას. იმპერატორის სიტყვის შემდეგ, კრებამ წამოიძახა „გოხ“ და ჰიმნი იმღერა. საერო განათლების მინისტრმა გადასცა ბერლინს ახლად აგებული სამეფო წიგნთ-საცავი. ბერლინმა შესწირა 200.000 სტიპენდიებისა და სამეცნიერო მოგზაურობათათვის. უცხოეთის უნივერსიტეტთა წარმომადგენლებმა მიუღოცეს. სლავიანთა უნივერსიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა.

**ბერლინი.** უცხოეთის უნივერსიტეტების მილოცვებზე პასუხი გასცა რექტორმა და აღტაცებულის სიტყვებით მოიხსენია ყველა ქვეყანა, განსაკუთრებით ავსტრო-უნგრეთი და ამერიკა. სლავიანთა უნივერსიტეტების შესახებ მან სთქვა, რომ სლავიანთა ჯგუფს რუსეთის წინამძღოლობით შეუძლიან იამაყოს, გერმანულ უნივერსიტეტების მსგავსად, შრომის მოყვარეობითა და მეცნიერების ღრმა განსჭვრეტით.

**პარიზი.** რკინის გზის გაფიცვისა გამო საფოსტო სამსახურს აწარმოებენ ავტომობილებით, საღამოს 5½ საათზე რკინის გზის ბილეთების გაყიდვა გააუქმეს.

**პარიზი.** ბრიანმა და მილერამაა მინისტრთა საბჭოში განაცხადეს, რომ გაფიცვამ ჩრდ. ლოე ის გზებზე იფეთქა მოულოდნელად რკინის გზის მოსამსახურეთა მიერ მთავრობის შუამდგომლობის მიღების შემდეგ, გაფიცვა იღებს უფრო პოლიტიკურს, რევოლუციურს ხასიათს, ვიდრე პროფესიულს. რკინის გზის მოსამსახურეთა უმეტესობა გაფიცვის წინააღმდეგია, მაგრამ მეთაურნი აშინებენ. სამხედრო ზომები მიღებულია და გაძლიერებულიც იქნება შრომის სრულ თავისუფლების უზრუნველსაყოფად. დამნაშავენი წაქეზების ორს შემთხვევაში სასამართლოში მიეცემიან. ხვალინდელის

---

სხვა რადა უნდოდა?? განა ნაბუქოდონოსორი იყო მსაავრი, რომ დაეპყრო ქვეყანა, განეძარცვა ტაძარნი წმიდანი და შეეკრიფა საუნჯე უთვალავი! მცირედზედ იყო იაკობი სარწმუნო და მრავალთა ზედან დამკვიდრებას არ ესწრაფებოდა. სწამდა იაკობს, რომ ლუკმა პურის გარეშე ყოველივე სიმდიდრე აშენებული იყო მოყვართა ჩაგვრაზედ და ეშმაკისაგან მახედ დაგებული ამაო ამაოებათა.

იაკობ მღვდლის მეუღლე მართა სრულიად კმაყოფილი იყო თავის ქმარ-შვილისა და ოჯახისა. ილბალს არც ის ემდურებოდა და მარად ჭადლობდა ყოვლად მოწყალეს. ამისთანა მკვიდრ ოჯახს და პატივსაღებ ქმარ-შვილს, ნაჯრობდა ის თავის ქალობაში და ოცნება მთლად აუსრულდა ბედიანს. არც ეცალა მართას მოსაწყენად და დრტვინვისათვის: შრომაში იყო ქალი მარად გართული. არც რამ მიუწოთმელ მოთხოვნილებებით იყო ქალი გამსჭვალული ან დაუკმაყოფილებელი სურვილებით და ამისთვის გულწმიდად იყო გახარებული თავის-თაკის აწინდელი ყოფა-მდგომარეობით და დოვლათით. გულ-სავსე, კმაყოფილი, მოღიმარე კარგი ადამიანი საყვარელი და პატივსადები შეიქმნა ყველგან და ყველასაგან.

ქალები თავის გვერდზედ ჰყვანდა დაბინავებულნი საუკეთესო ოჯახებში. სახლში იყვნენ ისინი აღზრდილნი დედის კალთის ქვეშ. ბედკრეტით რკინის გზანი მიიღებენ სანდაღრო ორგანიზაციას. ნებას დართავენ 20 დღით იმ მოსამსახურეთა მიწევენს, რომელნიც სამხედრო უწყებაში იმყოფებიან. უკიდურეს შემთხვევაში მემანქანეთა და ღუმელთა ზედამხედველებს შესცვლიან მეზღვაურებით. მიღებულია ზომები პარიზის საცხოვრებელ სანოვაგით უზრუნველსაყოფელად. ხიდები პარიზის მიდამოებში დაჭერილია ჯარების მიერ.

**ვენა.** „ნეიე ფრაიე-პრესე“ ხედავს თავად ურუსოვისადმი მიმართულს რესკრიპტში ხელმწიფის სურვილს დაიცვას და განამტკიცოს კეთილ-მეზობლური განწყობილება ავსტრ-უნგრეთთან. ამ სურვილს, გაზეთის სიტყვით, ავსტრო-უნგრეთიც თანაუგრძნობს.

**ჰამბურგი.** გემთ-სამშენებლოთა და მუშათა შორის ახალი უკმაყოფილება დაიბადა ანგარიშების გასწორებისა გამო. დღეს მუშები არ გამოვიდნენ სამუშაოდ.

**ბრემენი.** ბრაკაში ნავთ-სადგურის მუშათა გაფიცვისა გამო ადგილობრივმა მუშებმა დაადგინეს უარი სთქვან შავის ზღვის ნავთ-სადგურებიდან მოსულ პურით დატვირთულ გემების გადატვირთვაზე.

**ნიუ-იორკი.** ,ორენის (მინნეზოტა) ტყეებში გაჩენილს ცეცხლს რამდენიმე მილიონის ზარალი მოჰყვა. დაიღუპა 4000 კაცი.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის შუამავლებად ჰაგის სასამართლოში რუსეთის მივაღეთა საქმისა გამო დანიშნენ ოსმალეთის იურისკონსულტი რეშიდ და ხარანი.

სამხედრო მდგომარეობა სალონიკში გამოწვეულია მცხოვრებთა იარაღის აყრის საჭროებით.

**თავრიზი.** ყარაჯადაგში რახიმ-ხანის შვილი ბუიუკ-ხანი მცხოვრებთა სძარცვავს.

**თეირანი.** ბახტიართა ხანები, რომელთაც სპარსეთის სამხრეთში გუბერნატორთა ადგილები დაჰკარგეს, შეიკრიბნენ ისპაანში, საიდანაც თეირანს წავიდნენ.

სპარსეთმა დააარსა მთავარი საელჩო შვეიცარიაში აქ მოსწავლეთ სპარსელთა შვილების სათვალყურად ელჩს ალამ-უდ-დოულეს, წინადადების შაჰის ექიმად ნამყოფს, მიჰყავს ათი ბახტიართა ბავშვი შვეიცარიის სკოლებში მისაბარებლად.

ინგლისის სინდიკატი პირობით შეეკრა არზუმანიანცს, რომ მისი ხეტყე მოსჭრას მაზანდერანში. გენერალ რუს-ინგლისელთა კამპანიის დაარსება მაზანდერანის ხეტყის დასამუშავებლად.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** გაზეთების ცნობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფრიდბერგში წასვლის შესახებ, საფუძველ მოკლებულია.

მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებულ მიწათ-მოწყობის მთავარ-გამგეობის გარდაქმნის კანონ-პროექტის თანახმად მიწათ-მფლობელობის სამინისტროს უერთდება საბეითალო და სამიჯნო ნაწილები და სახელმწიფო ცხენთა მოშენების მთავარი გამგეობაც.

ადგილობრივ მოხელეთა მოქმედების გასაერთგვარებლად საქარხნო დაწესებულებათა გახსნის დროს შინაგან საქმეთა და ვაჭრობის სამინისტრომ გამოსცეს საგანგებო წესები.

ჟურნალ „სოვრემ. სლოვო“-ს მორიგი ნომრები აღკრძალეს. რედაქტორს სამართალში აძლევენ 129 მუხლის ძალით.

**ეკატერინოდარი.** სოჩის რესპუბლიკის საქმისა გამო სამხედრო სასამართლომ ხუთსავე სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**კავკავი.** 20 სექტემბრის თავდასხმისა გამო ოლქის უფროსმა მოსთხოვა ინგუშთა სოფლების წარმომადგენელთ გასცენ ორი კვირის განმავლობაში ხელიმ-ხანი მისის მომხრებითურთ და რეპრესიებისა დაემუქრა. მამასახლისებს წარმოვათ წოდება და უფლება იარაღის ტარებისა.

## წარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქციაში, ასე ვსთქვათ, თავისებური „პატარა რევოლუციაა“ მომხდარა.

„ზაკავკაზიეს“ გუშინდელ ნომერში მსხვილი ასოებით დასტამბულია შემდეგი განცხადება:

„გამომცემელთა ჯგუფმა თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიანმა, დ. ე. ჩოლოყაშვილმა, დ. ფავლენიშვილმა, მ. გ. მაჩაბელმა და ს. ზ. ,ოდესაც თავ. გ. ი. ამირაჯიბისაგან შეიძინეს გაზეთი „ზაკავკაზიე“, გამომცემლად მოიწვიეს ბ-ნი დ. პ. მაჭავარიანი, ,ოლო რედაქტორად მე—ვ. გ. რუტკოვსკი. გამომცემელთა ჯგუფისა ბოლო ,ოლ მე წარვადგინე შემდეგი პირობანი: სრული თავისუფალი მოქმედება ჩემის მიმართულების მიხედვით, გამომცემლებს არავითარი ნება არ უნდა ჰქონოდათ გაზეთის საქმეთა წარმართვაში ჩარეულიყვნენ, ჩემის ნებითა და სურვილისამებრ მომიწვია თანამშრომლები და სხვა. ამ ჩემ წინადადებას არამც თუ დაეთანხმა მთელი კრება გამომცემელთა, არამედ, თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა ისიც კი მითხრა: მამ რეგიონ იქნება, რასაკვირველია თქვენ იქმნებით სრული პატრონი გაზეთისა, სრული დიქტატორიო.

წერილებითი ხელშეკრულება არ დაგვიდია, სიტყვიერი მოლაპარაკება და თანხმება გვქონდა, მაგრამ მეც და ჩემი თანამშრომლებიც გ. ნ. დიასამიძე. ალ. ივ. ყანჩელი და თავ. გ. ა. ამირაჯიბი სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ ზემოდ დასახელებულ პირთა ცარიელი სიტყვაც ყოველად მტკიცე და სარწმუნო იქნებოდა, მაგრამ არ გასულა ერთი თვეც, რომ გამომცემლებმა მოისურვეს გაზეთისათვის თავისებური მიმართულება მიეცათ. ჩვენგან არჩეული გზა არ მოეწონათ.

რასაკვირველია ასეთ პირობებში მუშაობა ჩვენ არ შეგვიძლია და ამიტომ ეს ნომერი „ზაკავკაზიისა“ უკანასკნელია, რომელსაც ჩვენ ხელს ვაწერთ და სხვა.

ამავე წერილის ბოლოში დაბეჭდილია წერილი თანამშრომლებისაც.

„რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენის სინიდისის წინააღმდეგ წავიდეთ და ეამისდგ, კი ბ-ნ რუდკოვსკის უარის შემდეგ, გაზეთ „ზაკავკაზიეში“ მუშაობა შეუძლებელია, ვინაიდან გაზეთის ზოგიერთა გამომცემელთა მიმართულება, რეგიონ გამოირკვა, წინააღმდეგი ყოფილა ჩვენის აზრებისა და მაშასადამე ძალასაც დაგვატანენ, დღეიდან ამ გაზეთში თანამშრომლობას თავს განებებთ და ამ გაზეთის რედაქციასთან აღარავითარი დამოკიდებულება აღარ გვექნებაო. ხელს აწერენ გ. დიასამიძე, ყანჩელი გ. ამირეჯიბი და აზვანი.

ერთის სიტყვით გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი და თანამშრომელთა თვალსაჩინო ნაწილი სრულ „ბოიკოტს“ უცხადებს თავისს ნამაგდარ რედაქციას.

თუ თავის თავისავე გამათრახება არა სურდათ ამ დალოცვილებს, რატომ წინდაწინვე არ იცოდნენ, რომ ყოველთვის მსგავსი მსგავს ეძებს და ჩვენ გაუკეთებულ დროში თავისი ჯიბე და თავისი თავი უფრო უყვართ, ვიდრე საკვეყნო საქმე!?..

# ახალი ამბები

## ტფილისი

**შუამდგომლობა.** ტფილისში ჩამოვიდნენ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. გ. წერეთელი და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგე თავ. მ. გ. ფალავა. ამათ შუამდგომლობა უნდა აღძრან ტფ. საადგილ მამულო ბანკთან ერთად მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკებს თავის მოქმედების გასაფართოვებლად ისეთივე უფლებები მიეცეთ, როგორიც მინიჭებული აქვთ რუსეთის სხვა გუბერნიების ბანკებს.

**წარმოდგენები ნაძალადევში.** 28 სექტემბერს მოჰხდა ნაძალადევში დაარსებულ იმ ახალის წრის წევრთა კრება, რომელსაც განუზრახავს ნაძალადევში სისტემატიურად ჰმართოს სახალხო წარმოდგენები. წრის წესდება გუბერნატორს უკვე დუმტკიცებია, წრეს უნდა აერჩია გამგეობის წევრნი. კრების უმცირესობა იმ აზრისა იყო, რომ გამგეობა არ აერჩიათ, რადგან ცალკე წრის დაარსებას ნაძალადევში მომეტებულად სჯობდა. ისინი აქტიკიებდნენ, უმჯობესი იქმნება აქ დავაარსოთ სახალხო უნივერსიტეტის სექცია, რომელსაც უფლება ექმნება როგორც წარმოდგენების მართვისა, ისე ბიბლიოთეკისა და სკოლის მოწყობა. უმრავლესობა არ დაეთანხმა ამ აზრს და აირჩია გამგეობა შვიდი კაცისაგან. კანდიდატებად არჩეულ იქმნა 3 კაცი.

**ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 28 სექტემბერს ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

**გაზეთის შეჩერება.** ზაკავკაზიეს გამომცემლების და რედაქტორ-თანამშრომლების განხეთქილების გამო დღეს გაზეთი არ გამოსულა.

**„606“ ტფილისში.** როგორც ვწერდით, 21 სექტემბრიდან მიხეილის საავადმყოფოში ციებით ავადმყოფს ერლიხს „606“-ით დაუწყეს ჩენა. რადგან დღემდე ამ წამალმა ავადმყოფზე არავითარი საგრძნობი გავლენა არ იქონია, ავადმყოფის მორჩენას ისევ ხინით შეუდგნენ. „606“ მა კარგი გავლენა იქონია სამაგიეროდ ათაშანგით ავადმყოფეზზე.

**კრება.** დღეს, 30 სექტემბერს მოჰხდება მორიგი კრება ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრებისა მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

**სესხი.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ქალაქ ეკატერინოდარის თვით მმართველობას 2.028,900 მან. სესხი აიღოს.

**გიმნაზიელ ქამაროვის მოტაცება** 28 სექტემბერს ქუთაისში სასტუმრო „სევერნი“ ნომრებში ,ენდარმთა როტმისტრს დვუეილნის მოუნდომებია 2 ვაჟისა და ერთი ქალის შეპყრობა, რომელთაც, როტმისტრის აზრით, ქამაროვი დაატყვევეს. უცნობთა როტმისტრი იქვე მოუკლავთ, ხოლო ,ენდარმი სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ბოროტმოქმედნი ფანჯრიდან გადამხტარან გასაქცევად, მაგრამ ერთი მათგანი დაუჭერიათ, მეორე—მოუკლავთ. მოკლულს ჯიბეებში 6,000 მან. აღმოსჩენია.

**„ლალატი“ სახალხო სახლში.** დღეს, 30 სექტემბერს, სახალხო სახლთან არსებულ ქართული წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ქ-ნ ა. ჩირგაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა „ლალატი“. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე. ბილეთის ფასი 5 კ-დან 50 კ მდე.

**ხოლერა ამიერ-კავკასიაში.** ერევნის გუბერნიაში: 25 სექტემბერს გარდაიცვალა—1. ნოვოროსიისკში: 22 და 23 სექტემბერს ავად გახდა—2. ჩერნომორის გუბერნიაში: 20 სექტემბერს ავად გახდა—2, გარდაიცვალა—1.

**კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** საზოგადოების მდივნის ადგილი ეირანოვის სიკვდილის გამო დღემდე თავისუფალია. ახალ მდივანს მხოლოდ ნოემბერში აირჩევენ.

**ოდესიდან.** მივიღეთ შემდეგი დეპეშა: „ღრმად აღფოთებულნი ვართ ბ-ნ მდივანის შეურაცხყოფის გამო. იმედი გვაქვს, რომ ეს გარემოება არ შეასუსტებს მის ენერგიას და საყვარელ საქმისთვის კვლავ იშრომებს. აპოლონ ჩაჩავა, გედეონ გაბუნია“.

**ახალი ბაღები.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გადასწყიტა ქალაქის სხვა და სხვა უბანში ახალი სასეირნო ბაღები გააშენოს. ამ საგნის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას გამგეობა ქალაქის სბჭოს წარუდგენს განსახილველად.

**სამკურნალო საზოგადოებაში.** 1 ოქტომბერს ტფ. სამკურნალო საზოგადოების წევრთა მოხდება. კრება რამდენისამე საყურადღებო მოხსენების განსახილველად.

**რევიზია.** უკვე შეუდგნენ რევიზიას ტფ. ხელოსანთა გამგეობაში.

**ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** ქალაქის სასანიტარო ინსპექტორის ცნობით, 28 სექტემბრის დილის 9 საათიდან 29 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით არავინ გამხდარა ავადმყოფი, არის—6.

**გადასახლებული.** 28 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს ალექსანდრე მიხეილის ძე ტერ-ოჰანეზოვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

**თავის მოკვლა.** 28 სექტემბერს ტფილისში რევოლვერით თავი მოიკლა ტარას თეოდორეს ძემ ივაშანმა. მიზეზი არ იციან.

**28 სექტემბერს** ბოდიტიამ ტფილისში შეაბერა 42 უბასბორტო.

**სამართალში** მისცეს ბოდიტიელი ბაგდე კოკანაძე მიკირტიჩიანცის შეურაცხყოფისათვის.

**28 სექტემბერს** სუფ-კარაბეტოვის ქუჩაზე ჩგრებში გახვეულ. ბაგშვი, ეზოვეს შამრობითი სქესისა, დასდოგვებით 4 დღისა. ბაგშვი ოდგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

---

**შეცდომის გასწორება** კუშინდელ ნომერში დასტამბულ, ხოხიდან მოწერილ კორესპონდენტიის ბოდო კორექტორის უყურადღებობისა გამო არეულადა დაბეჭდილი. **უნდა იყოს:**

ბევრი იდაბარაკეს კდუბის მნიშვნელობის შესახებ, ბევრ რამესაც დაგვბერდნენ, მაგალითად, კდუბის წევდობით გუმართავთ სადიტერატურო სადამოებს, კონცერტებს, სტუდენტო სადამოებს, დექტიებსაო და სხვა. მაგრამ, ჩემის აზრით, ყოველზე ეს ცარიელი სიტყვებია. თუ კი ყოველ ამის გამართვა უნდათ, დღეს ვიდა ეშდით ხელს, გამართონ. კდუბი-კი მხოლოდ და მხოლოდ კარტ-ნარდის სათამაშო დაწესებულებად გადაიქცევა და სხვა არაფერი ხეირი არ მოგვეცემა.

კრებაზე დაბარაკი რუსულ ენაზე იყო, მხოლოდ იმის გამო რომ კრებაზე ერთი რუსი ბრძანდებოდა, მათ დაავიწყდათ, რომ კრებაზე იყვნენ ისეთი ქართველები, რომლებმაც რუსული ენა არ იცოდნენ. „წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო“, რომ იტყვიან სწორედ ჩვენზეა ნათქვამი.

---

# პატარა ფელეტონი

## განსვენებული

(გიუ-დე მოპასანისა)

მე თავ-დავიწყებით მიყვარდა ის. არ ვიცი, ასე ძალიან რად უყვართ ხოლმე ერთმანეთი მიჯნურთ. ქვეყანაზე მარტო ერთი არსება გაგაჩნია, სულ იმაზედ ჰფიქრობ, იმისკენ მიისწრაფი და იმის სახელი გაკერია პირველ ბეჭედზედ, თქოს წყარო ამოდუღის დედამიწის გულიდანო, ისე გრძნობი ჰჩურჩულებენ ლოკცვასავით იმის სახელს ყველგან და ყოველთვის.

მე ჩემი სიყვარულის ისტორიას არ მოგიყვებით. სიყვარული ყველასთვის ერთგვარია. ის შემხვდა და შემიყვარდა—აი, მთელი ისტორია. მთელი ერთი წელიწადი გავატარე მის ხვევნა-ალერსში, გატაცებული ვიყავ მისი საუბრით, მისი ცქერით და სამკაულით.

ჩემთვის ერთი იყო დღეცა და ღამეც, აღარ მესმოდა ცოცხალი ვიყავ, თუ მკვდარი, დედამიწაზე ვცხოვრობდი, თუ სხვა მსოფლიოს ვიყავ სადმე გადასახლებული.

ის მოკვდა. რაგორ? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. ერთხელ წვიმიან საღამოს დაბრუნდა შინ დასველებული, მეორე დილას ხვეია დაწყებინა, ერთი კვირის შემდეგ ლოგინში ჩაწვა. აღარ მესმოდა, რა ხდებოდა ჩემს გარშემო: ექიმება მოდიოდნენ, რაღაცას სწერდნენ და ისევ მიდიოდნენ. წამლები მოჰქონდათ, ვიღაცა დედაკაცი კიდევ ასმევდა. ხელები ცხელი ჰქონდა, შუბლი გახურებული და ოფლიანი, თვალები ბჟყვრიალა და დაღონებული. ველაპარაკებოდი, ის პასუხს არ მაძლევდა. რას ველაპარაკებოდით ერთმანეთს, არ ვიცი, სუყველაფერი დამავიწყდა. ის გარდაიცვალა, ეხლაც მკაფიოდ მახსოვს მისი უკანასკნელი სუნი ამოსუნთქვა. მოსასურე დედაკაცმა შეჰკივლა, მე ყველაფერს მივხვდი. მახსოვს ღვდელმა მითხრა: „თქვენი საყვარელიო“. ძალიან მეწყინა. ის ხომ მოკვდა, სხვას რად უნდა სოდნოდა მისი ამბავი. ათას რასმე ჩამჩიჩინებდნენ დასაფლავების შესახებ. კარგად მახსოვს კუბო და ჩაქუჩის კაკუნი კუბოს დაჭედვის დროს. ღმერთო!

ის დაფლეს, ის! იმ ორმოში! რამდენიმე მისი მეგობარი ქალი მოვიდა ჩემთან სამძიმრისთვის, მე თავი გავარიდე, გავედი ქუჩაში და დიდხანს დავეხეტებოდი. შემდეგ შინ დავბრუნდი. მეორე დღეს სამოგზაუროდ გავემართე.

გუშინ დავბრუნდი პარიზში.

რომ დავინახე ჩვენი სახლი, საწოლი, ავეჯი, ჩვენი ოთახი, სადაც დავტოვე განსვენებულის ავლა-დიდება, ხელ-ახლად მწუხარებამ მომიცვა. ცოტას გასწყდა ფანჯარა არ გამოვაღე და ქუჩაში არ გადავვარდი. არ შემეძლო მეყურებინა ნივთებისთვის, რომელნიც მას რაიმე სამსახურს უწევდნენ, ვერ ვისვენებდი იმ ოთახში, რომელიც ოდესმე მისი თავშესაფარი იყო, სადაც უნდა დარჩენილიყო მისი სხეულის ნაწილაკები, მისი სუნთქვა. ავიღე ქუდი და წასასვლელად მოვემზადე. უცბად თვალი მოვკარი, შომოსავალთან მისი სურვილით დაკიდებულ დიდ სარკეს. აქ ისწორებდა ხოლმე ის საჭაულს სახლიდან წასვლის დროს, თავიდან ფეხებამდის აჰხედ-დაჰხედავდა ხოლმე თავის თავს. შევსდექი ამ სარკესთან, სადაც ასე ხშირად მოსჩანდა ხოლმე მისი სახე. ვიფიქრე მისი ლანდი იქნება მეთქი დარჩენილი სარკეში. ვიდექ სარკის წინ დავკანკალებდი, კაშტერებიც უყურებდი ლაპლაპა ცალიერ სქელ შუშას, რომელიც მთლად გადაგვხატავდა ხოლმე მე და იმას. როცა აღგზნებული თვალში თვალს უყრიდი. ვგრძნობდი, ეს სარკე მიყვარდა, ხელი დავადე—ყინულივით ცივი იყო. ოხ, მოგონება! მოგონება ჭმუნვით აღსავსე, საზარელი და დამწველი სარკეა, რომელიც დაუნდობლად გულს გიღრღნის. ბედნიერია ის, ვისაც სარკის მაგვარი გული აქვს, სადაც ისევე ,ალე ჭქრება ყოველი ლანდი, როგორც მალე ისახება, ივიწყებს ყოველივეს, რასაც მის წინ გაუვლია, არ ინახავს არავითარ ნასახს ტრფობისას და სიყვარულისას.

გონება არეული გამოვედი და, ჩემდა უნებურად, სასაფლაოსკენ გავსწიე. ვიპოვე იმის მარმარილოს ჯვრიანი სადა საფლავი. ზედ ეწერა: „ეს უყვარდა ახალგაზრდა კაცს, ამასაც უყვარდა ის. გარდაიცვალა“. საზარელია! უკვე დალპებოდა მიწაში! დავეშვა მიწაზე და ვქვითინებდი. დიდ ხანს დავრჩი იქ. დღამდა. უცნაურად სურვილმა მოიცვა: გადავწყვიტე, უკანასკნელი ღამე მის საფლავზე ტირილით გამეტარებინა.

მაკრამ, შეიძლებოდა დავენახე ვისმე და გამოვეგზე. ვიფიქრე, ხერხი სჯობია მეთქი. ავდექი და ამ მკვდრეთა ქალაქში ჩერჩეტი დავიწყე დიდანს ვადერდეტე. ცოცხალთა ქალაქთან შედარებით მკვდართან ქალაქი ძალიან პატარაა, თუმცა კი რაოდენობა მეტი იქნებიან მიცვალებულნი ცოცხლებზე! ჩვენთვის საჭიროა მაღალ

სახლები, ქუჩები, მთელი დედამიწის ზურგი, საკმაოა ოთხი თვობისთვის რადგან ამათ პირში სული უდგათ, წყალი დასალევად. უნდათ, მინდორი პურის მოსაყვანად მკვდართა ყველა თვობისათვის კი — კაცობრიობის კიბის პირველ საფეხურიდან ჩვენამდის — არაფერია საკმარი, გარდა პატარა მინდვრისა. ისინი მიწდებიან, დავიწყებას ეძლევიან. მორჩა და გათავდა.

ამ სასაფლაოს ბოლოს სხვა ძველ გაუქმებულ სასაფლაოს წავაწყდი. იქ ძველი გარდაცვალებულნი მიწად არიან ნაქცევნი, ჯვრებიც დამპალან, იქნებ მალე ამათ ახლებიც ჩაუსახლონ. მრავლად გაბმულა ასკილი, მოსჩანს მაგარი კვიპაროზები, ერთის სიტყვით, ადამიანის ნეშტით გაპოხიერებული ბაღი სევდის ამშლელი და მასთანვე დიდებული სანახავია.

მარტოდ-მარტო ვიყავი. ხის ფოთლიან ტოტებში ჩავიმალე. დაბნელებას ვუცდიდი. ისე მაგრად მეჭიდა ხის ძირზედ ხელი, აპე გონია ხომალდი დაღუპულა და განწირული ფიცრის ნატეხს ებღაუჭებაო. კარგა რომ დაბნელდა, გამოვედი ჩემი სამალავიდგან, ნელ-ნელა, ფეხ-აკრეფით დავიწყე სიარული ადამიანის გვამით გამაძღარ მიწაზე. დიდხანს, დიდ ხანს ვიღერღეტე, მაგრამ იმის საფლავს ვერ მივაგენი. ბრმისავით ხელებს ვაფათურებდი ქვებზედ, ჯვრებზედ, რკინის მოაჯირებზე, ლითონისა და გამხმარი ყვავილების გვირგვინებზედ წარწერებს ეითებს ვაყოლებდი და სახელებს ვკითხულობდი, როგორა ბნელოდა! ჩამწკრივებულ საფლავებშუა დარჩენილ ვიწრო ბილიკებზე რაცრაცი საშინელმა შიშმა შემიპყრო. საფლავი, ყველგან საფლავი. მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, გარშემო, ყველგან საფლავები იყო. მუხლები მიკანკალებდა, სიარული ველარ შევძელ და ერთ საფლავზე ჩამოვჯექი. ჩემი გულის ცემა მესმოდა, მესმოდა აგრეთვე რაღაც გამოურკვეველი, ენით გამოუთქმელი ხმაურობა. არ ვიცი მარტო ჩემ დავთრებ დაკარგულ გონებაში გაისმოდა ეს ხმაურობა, თუ უკუნეთ სიბნელეშ, საიდუმლოებით მოცულ ადამიანის ძვლებით სავსე დედამიწის ქვეშიდან მოისმოდა? სულ აქეთ-იქით ვიყურებოდი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავ ამ მდგომარეობაში.

შიშისაგან გონება დამეკარგა, დამბლად დავეცი, მინდოდა დამეკირნა.

უცბად მომეჩვენა, როგორ ის მარმარილოს ფიცარი, რომელზედაც მე ვიჯექი, შეინძრა, თითქოს ვიღაცა ეწეოდა. ერთი ვისკუპე, ხელად მეორე საფლავზედ გავჩნდი და დავინახე... დავინახე, რომ ის ქვა, რომელზედ ვიჯექი, აიმართა და სწორედ დადგა. საფლავიდან მიცვალებული-თეთრი ძვლის ჩონჩხი—ამოკიდა,—ამას ქვა ზურგით გადაეგდო. მე ჩემის თვალითა ვნახე ესა, თუმცა ღამე იყო, მაინც ძალიან კარგად ვხედავდი. ჯვარზედ წარწერა წავიკითხე: „აქა განისვენებს ჟან ოლივანი, გარდაიცვალა 51 წლისა; ყველა თავის ნათესავი უყვარდა, იყო პატიოსანი, კეთილი, ნებისაებრ ღვთისა განისვენა“. მკვდარიც თავის საფლავის ზედ-წარწერასა კითხულობდა. შემდეგ დასწვდა, გზიდან ერთი პატარა წვეტიანი ქვა აიღო და დაიწყო იმით წაწერის შლა. თავის დაკალიერებულ თვალების ბუდეებით დაჰყურებდა ზედ წარწერას, და თან ნელ-ნელა ჰშლიდა, მერე ძვლის წვერით—თავის წიხანდელი სალიკი თითით-ბჟყვრიალა ასოებით დასწერა: „აქა განისვენებს ჟან ოლივანი, გარდაიცვალა 51 წლისა. მეტად ავი კაცი იყო, ძაძას ბოლო მოუღო, რადგან მეძკვიდრეობის ძიღება ეჩქარებოდა, აწამებდა ცოლსა და შვილებს, ატყუებდა მეზობლებს, არც ხელი მრუდობას უკადრისობდა, თუ კი მოახელებდა რასმე. ძოკვდა სიღარიბეში“. გათავა მიცვალებულმა წერა და თავის ნაძუშავარს ჭმინჯავდა.

უკან მოვიხედე და დავინახე, რომ ყველა მიცვალებულნი ამდგარიყვნენ, ჰმღერდნენ საფლავის ქვებზე მახლობელთაგან დაბეჭილ სიცრუვეს და სიძართლესა სწერდნენ. დავინახე, რომ ყველა ძძის ჯალათი ყოფილიყო, ბოროტი, უპატიოსნო, პირმოთხე, ძატყუარა, ცილის მწამებელი და მოშურნე; ექურდნათ, ეცრუვნათ და უკადრისი საქმეები ჩაედინათ. სადღა იყვნენ კეთილი ძმები, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი, ერთგულნი შვილნი, უმწიკვლო ქალწული ქალები, პატიოსანი ვაკრები, ან სამაკალითო ქალნი და კაცნი!

ყოველი მიცვალებული თავის საუკუნო საცხოვრებელის კარებზე სწერდა მეეგბრალებელ, საშინელს წმინდა სიმართლეს, რომელსაც დღემდის ჰმალავდნენ და არ უზიარებდნენ ქვეყანას. შიშმა გადამიარა. გავიარე პირდაღებულ სამარეებსა, ადამიანის ჩონჩხებსა და გვამთა შუა, წავედი იმის საძებნელად. მწამდა, რომ მალე ვიპოვნიდი.

შორიდგანვე ვიცანი, თუმცა სახე ზეწარში ჰქონდა ჩამალული მარმარილოს ჯვარზე წინად ეწერა: „ეს უყვარდა ახალგაზრდა კაცს; ამასაც უყვარდა ისა. გარდაიცვალა“. ახლა კი წავიკითხე: „ამას სწადდა სატრფოსთვის ელალატნა. სხვის შესახვედრად მიდიოდა, გზაზედ წვიმამ მოასწრო, გაცივდა და მოკვდა“.

მეორე დღეს სასაფლაოზე გონ დაკარგული მიპოვნეს.

**დ. ქარუმიძე.**

## მოწმილი ამბები

**ქუთაისი.** სამშაბათს, 28 სექტემბერს, დიდის 11 საათზე ქუთაისში მოხდა შემდეგი დრამა, რომელმაც მთელი ქალაქი აალაფორიაქა.

შუშკინის ქუჩაზე „ზრდილთათის სასტუმროს, ახლო მახლო ასტუდა გახმირებული სროდა. ტრტანის შემდეგ კამოირკვა შემდეგი:

ზემოხსენებულ სასტუმროში დაუჯერიათ ბინა როგორც ეტუობა იმ პირთა, ვინც ქუთაისის ვაჭრის ქამარდვის შვილის კატცებაში მონაწილეობა მიიღეს. ამ მდგმურებმა დანიანარჯის კასასწორებლად სასტუმროს პატრონს კალასკეს ათოუმენიანი, რადგან დასახურდავებლადაც იგი მიიქცა ხაზინაში. ბანაში ადმოაჩინეს რომ ეს ფული სწორედ იმ ფულთაგანი იყო, რომელიც ქამარდვის კამტცებლებზე იყო გაცემული, ამ ეჭვის ძალით სასტუმროს პატრონი დაატუსადეს. მოვიდა პოლიცია, ჟანდარმერია, კომენდანტი. სასტუმროს პატრონმა აუხსნათ, ვინც კალასკა მას ეს ფული და ეგენი „ზრდილთათის სასტუმროსაკენ“ გაეშურნენ. აქ ჟანდარმის კომენდანტის მეთაურობით ციადგნენ დანიშნულ ოთახს... კაისმა კარების კაკუნი და ბრძანება: გაადეთ კარებიო. ოთახში მეოთხენი მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო და დასახვედრად მოემზადნენ.

კარების კაღება და რევოლვერების გრიალი ერთი იყო. ჟანდარმის კომენდანტი დეუხეთოდოვი უსუდოდ დაეცა. მძიმედ დაიჭრა მხლებელი ჟანდარმი თავში.

ბოროტმოქმედებმა თავის საშველად ფანჯარას მაეშურეს და ქუჩაში გადახტნენ. ერთი გაიქცა ზეკოთ ტფილისის ქუჩისაკენ, მეორე დაეშვა ძიძის ბაღახვნის ქუჩაზე, რიონისკენ. მათ ორივ მხრივ დაედევნა ხალხი, შეიქნა სროდა იქით აქეთ. ბირველმა კაქცეულმა შეაფარა თავი ბოდიციის სამმართველოს ეზოში, სადაც იგი მდევრებისგან მოკლულ იქმნა 12 ტყვიით. ამბობენ მოკლულმა სიკვდილის წინ თავის თავს (პატარა ლადო) კვარად კოდაძე უწოდა. მოკლულს ჯიბეში 6000 მანეთი ადმოსჩნეთ.

მეორე კაქცეულმა რიონი გასცურა და ჯერ ვეკონებარ დაუჭერიათ. ჯ—.

—

**დ. ხონი.** (დესეტ მასწავლებელთა საუურადღებოდ). ჩვენში, ამ უკანასკნელ დროს მოწაფეები ხშირად რჩებიან ერთ და იმავე კანეოფიდებაში, ან კლასში. რჩებიან როგორც საშუალო ისე ბირველ დაწეებით სკოლების მოსწავლეები. მოწაფეების ერთ და იმავე კლასში ან კანეოფიდებაში დარჩენა, მოწაფეთა უნიჭობით არ აიხსნება. ამ მოვლენას უფრო დრმა მიზეზები აქვს. მოწაფე, როდესაც არ სწავლობს, რჩება, მას მაშინ უსათუოდ სწავლა არ უყვარს, სძულს და არა აქვს ხალისი სწავლისა. ვიკითხოთ ერთი, რამ დაუკარგა მოწაფეებს ხალისი სწავლისადმი და რამ შეაძულა მას სწავლა? ჩემის აზრით მიზეზი ყოველივე ამისა არის სკოლაში ცუდ მეთოდზე სწავლის წარმოება, სკოლის სულ-შემხუთავი რეჟიმი და აგრეთვე მასწავლებელთა დესეტოობა მოწაფეთა მიმართ.

ბირველი ორის შეცვლა ე. ი. სწავლის მეთოდის და სკოლის რეჟიმის გაუმჯობესება ჩვენს ხელთ არ არის. სამაგიეროდ მეორე კი ჩვენს ხელთაა და რაც ჩვენს ხელთაა, იმის შეცვლაც ჩვენი საქმეა. არავინ არ დაგვიშლის რომ მოწაფეებს ნაცვლად დესეტიური მოწყობისა, გულ კეთილთ სიყვარულით მოგვეპყრათ. არავინ არ ატანს დღეს ძალას მასწავლებლებს რომ მოწაფეებს სცემოს, აგინოს, დასცინოს და სხვა კიდევ ასეთ არა ბედაგოგიურ და დასაგმობ საქმეებს მიმართოს.

დღეს ბევრი მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ ბავშვის ცუდ მხარეს, ცუდ საქციელს ბავშვისაგან ფიზიკურად დასჯა კასწორებსო. ასეთმა დესეტიტმა მასწავლებელმა ბირველ ეოგდისა უნდა იცოდე, რომ ბავშვის ცუდი საქციელის შესწორება ფიზიკურ ძალას არამც და არამც არ შეუძლია. ბირიქით ფიზიკურად დასჯა მოწაფისა, მოწაფეს კაეზნეურებს და შემდეგ მისი კასწორება ეოგდად შეუძლებელი შეიქნება. აგრეთვე ცემა მოწაფეს ადამიანად ვერ გახდის. ცემის ქვეშ ადზრდილი მონა კამოვა და არა ადამიანი. მაგრამ ცემას, გინებას და დაცინვას მივნებდობა კიდევ სხვა მხრივ მოაქვს. ცემა, გინება და დაცინვა მოწაფეს სწავლას აძულებს. ამის მიზეზია, რომ დღეს ბავშვს სწავლა წამებად გადაქცეულა და სკოლა კი—ციხედ. ვინ მოსთვლის რამდენ მოწაფეში ჩუკდავს სწავლისადმი ხალისი მასწავლებელთა დესეტიტობის. ვინ მოსთვლის, რამდენ მოწაფეს დაუტოვებია სკოლა მხოლოდ იმის გამო რომ მასწავლებლისაგან გინება, ცემა და დანძღვა ვერ აუტანია. ერთი სიტყვით, მასწავლებელთა დესეტიტობა მოწაფეების სკოლიდან ერეკება და დღეგანდელ ისედაც მცირე სარგებლიან სკოლებს მთლად უსარგებლოდ ხდის. მაგმართავ ასეთ დესეტიტ მასწავლებლებს და ვურჩევ, რომ დროით მოვიდნენ გონს, თორემ მერმეთ კვინ იქნება...

**აქილესი.**

## თეატრი და ხელოვნება

**„სამშობლო“.** დრამატიული სეზონი დაიწყო. პრესაში უკვე აღნიშნული იყო, რომ როგორც დრამატიული საზოგადოების გამგეობამ, ისე თვით დასმაც მხნედ მოჰკიდეს საქმეს ხელი და ცდილობენ ახალს, უკეთეს ნიადაგზე დააყენონ ჩვენი თეატრის საქმეო. ამიტომ პოოთმენლად მოველოდი სეზონის დაწყებას და ძალიანაც გამიკვირდა, რომ სეზონი „სამშობლოს“-თი დაიწყო.

ჩემს აზრით დროა ჩვენს სცენას იგივე მოთხოვნილება წარეუდგინოთ, რომელიც ევროპიერება თანამედროვე საზოგადოების წინმსვლელობის ერთ ერთ გამომხატველს—თეატრს. დროა ეკუ ვაგდოთ ყველგვარი ტრადიციები და მივითხოვოთ, რომ ჩვენმა თეატრმა პასუხი გაგვცეს თანამედროვე საკითხებზე, დააკმაყოფილოს ჩვენი გული და გონება, გაგვიძღეს წინ თანამედროვე აზრის განვითარებასთან ერთად და მისცეს საზრდო როგორც ჩვენ გონებას, ისე ჩვენ ესთეტიურ მოთხოვნილებას. ამაში არის ჩემს აზრით თეატრის დანიშნულება და თუ ამ გზას არ ადგას—იგი, ვერ აასრულებს თავის მიზანს.

თუ აქამდე ჩვენი სცენის რეპერტუარი სავსე იყო იმისთანა ანაქრონიზმებით, როგორიც არის „სამშობლო“, „და ძმა“ და ამისთანა პიესები, იმედი მქონდა, რომ წლეულს ამისთანა პიესებს ადგილი არ ექნებოდა რეპერტუარში და მით უმეტეს მაშინ, როდესაც სეზონი ბირველად იწყება და საზოგადოებას აცნობენ ახალ ძალებს—როგორც რეჟისორს ისე მსახიობთ. უნდა აღვიარო, რომ წლევანდელი რეპერტუარი, რამდენადაც იგი აქამდინ გამოაშკარავებულია, ბევრათა სჯობიან წინანდელ რეპერტუარს, მაგრამ ჩემის აზრით სეზონის დაწყება „სამშობლო“-თი შეცდომა იყო.

„სამშობლო“ ფრანგული პიესიდან არის გადმოკეთებული. შინაარსი იმისი იმდენად ცნობილია, რომ გარჩევა არა ღირს. მე მინდა მხოლოდ ორიოდე ძოსაზრება გამოვსთქვა, რომ ნათელი იყოს, როგორც რეჟისორის, ისე მსახიობთა დაფასებაა.

საერთოდ ფრანგულ პიესებში, ეხლაც კი და მით უმეტესს მაშინ როგორც „სამშობლო“-ს დედანი დაიწერა, სჭარბობს დეკლამაცია, უშველებელი მონოლოგები, პატეტიური ფრაზები, რომელნიც შეძლებას აძლევენ მსახიობს გამოიჩინოს დეკლამაცია და პლასტიკა. გრძნობა ამ პიესებში ყალბია და სინამდვილეს მოკლებული. თვით დრამატიულ მოქმედების განვითარება ხელოვნურია. ერთის სიტყვით, ამ პიესებში დრამატიზმიც, გრძნობაც და მოქმედებაც ვულგარულია. ყველა ამ ღირსებით შემკულია „სამშობლოს“ მით უმეტეს, რომ იგი ფრანგული ნიადაგიდან გადმოსვეს ქართულ ნიადაგზე, და ერთ სიყალბეს, მეორეც ზედ დაემატა. სწორედ ამითი აიხსნება კვირანდელი წარმოდგენის სავკარგი. რა შეუძლია დაგვანახოს ამ პიესის დადგმით რეჟისორმა? — მხოლოდ ტეხნიკა; მსახიობებმა? — დეკლამაცია, პლასტიკა და მიმიკა. ე. ი. ყველაის, რაც შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ ძალიან დახელოვნებულ მსახიობთ. მართლაც „სამშობლო“-ში მშვენიერი იყო დეკორაციები, რეკვიზიტი და მასსიური სცენები. (?) აქ შალიკაშვილმა დაგვანახვა, რომ ეს უმუშავნია, უფიქრნია მხატვრებთან და მკოდნე პირთან ერთად და ამიტომაც გარეგანი მხარე წარმოდგენისა—კარგი იყო. დეკორაციები შეეფერებოდნენ როგორც პიესის, ისე ისტორიულ ეპოქას. ისტორიული კოლორიტი თითქმის წვრილმანებშიაც კი იყო გადმოცემული. კარგი იყო მასსიური სცენები პირველ სურათში, მეტეხის აღების დროს და ავლაბრის მოედანზე, სადაც ხალხი შეყრილია და უცდის შეიქმულთა ჩამოტარებას. აქამდინ ამ სცენას უყურადღებოდ სტოვებდნენ და არც საჭირო იყო, რადგანაც პიესის რიგიანად მოწყობაზე არავინ ჰფიქრობდა. ახლა კი ამ სცენამ საერთო სურათში ერთი საუკეთესო მომენტი შეიტანა ტანისამოსი, გრიმი, მოწყობილება—ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ რა მოგვცა შალიკაშვილმა, როგორც რეჟისორმა, ამ გარეგანი მხრის მოწყობის მეტი? არაფერი. ეტყობოდათ არტისტებს რეჟისორის ხელი, მუშაობა? — არა. მე ამაში ბრალს ვერ დავდებ შალიკაშვილს, რადგანაც თვით პიესა ყალბია და ყალბი პიესის დედააზრის გადმოცემა, მსახიობთა ერთმანეთში შეთანხმება, საჭირო ტონის აღება ძალიან ძნელია. ჩემის აზრით ბ. შალიკაშვილს პირველი თავისი დებიუტი ამ პიესით არ უნდა დაეწყო, რადგანაც რეჟისორისათვის გარეგან მოწყობაზე დიდი შრომა ელოდა. მეორეს, დაანახოს საზოგადოებას, რომ მას ესმის პიესის დედა აზრი, შეუძლიან ეს აზრი გადასცეს არტისტებს, შეათანხმოს იგინი, მიეცეს ტონი მთელ ნაწარმოებს და ამითი შეჰქმნას მაყურებელ საზოგადოებაში პიესის დედა აზრის შესაფერი სულის განწყობილება. ეს არ იყო „სამშობლო“-ში, ვერც იქნებოდა და დიდი შეცდომაა ბ. შალიკაშვილისა, რომ ამ პიესით დაიწყო სეზონი. (ერთი პატარა შენიშვნა. კარგი იქნებოდა, რომ წამ და უწუმ ნაღარს ჭყვიტინს თავს დაანებებდენ).

მით უმეტეს არა ღირდა „სამშობლო“-ს დადგმა, რომ ამ პიესაში პირველად დაანახვა საზოგადოებას თავისი თავი ბ. ბუდუ მდივანმა. საერთოდ ერთი უცნაური ჩვეულება სჭირთ ჩვენი სცენის გამგეთ. შეატყობენ თუ არა ვისშეს ცოტაოდენ ნიჭს, მაშინვე პირველ წარმოდგენაშივე მისცემენ ძალიან მძიმე როლს და იმას კი აღარა ჰფიქრობენ, რომ გენიოსიც რომ იყოს მსახიობი, მას ეჭირვება სცენის ტეხნიკის შესწავლა, მუშაობა, გამოცდა. ბატონებო, პატარა როლებიდან დაიწყეთ. იქნება ამა თუ იმ მსახიობს რეზონიორის ან კომიკის ნიჭი აქვს — გამოსცადეთ. იქნება ღირდეს ხიმშიაშვილიც ითამაშოს — დრო მიეცეთ.

ამით აიხსნება, რომ ბ. ბუდუ მდივანი სუსტი იყო. თავიდანვე წარმოდგენა ტონი ვერ აიღო, აკლდა გრძნობა, გულწრფელობა. ძნელიც არის „სამშობლო“-ში ხიმშიაშვილის გულწრფელად თამაში, მით უმეტეს გამოუცდელ ახალგაზდა მსახიობისათვის. პლასტიკა და მიმიკა მხოლოდ ბრომით მოიპოვება. ამიტომ ვეუბნ ამ მხრივ იყო ბ. მდივანი კარგი ხიმშიაშვილი. პიესის სიყალბემ იქამდის მიიყვანა, რომ დრამატიულ და პატეტიურ ადგილებში, როგორიცაა უკანასკნელი სურათი, ბ. მდივანი პირდაპირ ჰყვიროდა და ძალიანაც ჰყვიროდა. საერთოდ ეტყობოდა, რომ იგი ამ როლში ვერა ჩგრძნობდა კარგად თავის თავს. ამის და მიუხედავად ჩემის აზრით ბ. მდივანი საპატიო ადგილს დაიპერს დასში, თუ იმუშავა, რადგანაც მაინც ეტყობოდა, რომ მას სცენის უნარი აქვს. სცენაზედ თავისუფლად ეჭირა თავი, როლს ჩ ჰფიქრებიყო, და პირველი დებიუტისათვის დიდ სცენაზედ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა არა როგორც არტისტი, არამედ როგორც ბუნებრივი მასალა, რომლიდანაც მუშაობის შემდეგ კარგი არტისტი დადგება.

„სამშობლო“-ს ნაძალადევობამ, გრძნობის სიყალბემ ყველაზე ნათლად ქ. დავითაშვილზე იმოქმედა. მე დავითაშვილი ხშირად მინახავს. მე ვერ ვიტყვი, რომ მას, როგორც მსახიობს, გრძნობა აკლდეს, მაგრამ ქეთევანის როლში იგი ძალიან სუსტი იყო და სწორედ გრძნობა აკლდა. იქნება საერთოდ დავითაშვილს ეს როლი არ ეხერხება, მაგრამ უნდა ფაქტი ადვნიშნო, რომ იგი ვერ იყო **ქეთევანი**.

არა უშავდა რა ბ. გამყრელიძეს სიმონ ლიონიძის როლში. მგონია არტისტი, რამდენადაც შევიტყეე, ავად იყო, თორემ სიმონ ლიონიძე მაგის ერთ უმთავრეს როლთაგანია და უკეთესადაც თამაშობს.

სწორედ გითხრათ, გამაკვირვა ბ. გუნიამ შაჰ-აბასის როლში. ჩვენ წინაშე მრისხანე მაჰ-აბასი კი არ იყო, რომლის წინაშე ყოველივე უნდა ძრწოდეს, არამედ ჩვენ წინ იდგა ვალერიან გუნია, რომელსაც ჩაეცვა ტანისამოსი და გაეკეთებინა გრიმი შაჰ-აბასისა, ძალიან მრისხანე ფრაზებს ისროდა და თითონაც არ სჯეროდა რომ შაჰ-აბასი შეიძლებოდა ამისთანა ყოფილიყო. გუნია გამოცდილი მსახიობია. მას ბევრად უკეთესად შეუძლიან ამ როლის თამაში და არ ვიცი, რითი ავხსნა ასეთი უგულო თამაში.

ჩემის აზრით უპირატესობა ამ საღამოს ეკუთვნით მეორე როლების შემასრულებელთ. ძალიან კარგად თამაშობდა ფაიხოშის როლს ქ. ლეონავა. მან ნათლად დაგვისურათა ავდმყოფი, გულჩვილი ასუღი მრისხანე შაჰისა.

კარგები იყვნენ ბ. გვარაძე, გ. არადელი და ს. ივანიძე შაჰის მხლებელთა როლებში. კარგი გრიმი, დაფიქრებული თამაში თავის პატარა როლებისა, ნებას მაძლევს ვსთქვა რომ ლეონავამ, ჩერქეზიშვილის ქალმა და ზარდალიშვილმა ამ საღამოს ბველაზე რიგიანად ჩაატარეს თავისი როლები. საერთო შთაბეჭდილება შემდეგია: დროა „სამშობლო“-სთანა დრო გადასულ პიესებს თავი დავანებოთ. იგი ყალბია თავიდან ბოლომდინ. „სამშობლოსთანა“ პიესები ვერც რეჟისორის ნიჭს დაგვანახვებს და ვერც ახალგაზდა არტისტების შემოქმედებას, ამიტომ შემდეგში მაინც ნულარ დასდგმენ ასეთ ძველის-ძველ პიესებს.

**შალვა მეხხიშვილი.**

—

პარასკევს 1 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება „მეგობრობის“ და „გამხმარი ფოთოლი“-ს ავტორის ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა „სიმახინჯე“ ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით. „სიმახინჯეში“ მთავარ როლებს ასრულებენ: თომას—ვ. შალიკაძვილი, საბას (მახინჯი)—ი. ჭარდალიშვილი, ილიკოს—ბ. მდივანი, დარეჯანს—ნ. ჯავახიშვილი, სონას—ა. ლოლიუა, მის ძმას სტუდენტს—დ. მგალობლიშვილი, მეუბადეს—ნ. გვარაძე. პიესა „სიმახინჯე“ ეკუთვნის დახელოვნებულ ავტორს, ფრიად საინტერესოა და ჩვენის ცხოვრების გამომსახველი.

კვირისთვის განზრახულია წარმოსადგენად ცნობილი პიესა ი. გორდინისა—„სატანა“, თარგმანი შალიკაშვილისა, ვლ. ალექსი მესხიშვილის რეჟისორობით და მონაწილეობით.


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს მინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით დარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—192

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს კარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 11½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო ი ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცეშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ფარვაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დორმეტოური მედიც. დოტკორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ვ ა მ ო ც ვ ი ლ ი** საპნის მგეთმეველი ბევრი წელი წადი ვიმუშავე თაირეკვისა, ალიბანიკვისა, და ტოლლეს აქვ. საზოგადოებაში — ტფილისში. ვეძებ ადგილს ან ამბარაგს ქარხნის გასახსნელად. კარგათ ვამზადებ ყველა პირველ ხარისხის საპონს, ვაკეთებ იაფ ფასიან ზეთის ნარჩენიდან, ნარეკვიდან, და აგრეთვე ყველა შეფერე ხარისხის საპონს, საპირფარეშო საპონს.

ა დ რ ე ს ი: ქ. ტფილისი ბ. ს. ლენინის მოკეთოწვამდის. (Довостребованіе) (5—62—5)

◀ მოზიარეთათვის ▶

**თავშესაფარი**
**გეგია-ქალის**
**თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 11-დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—76—5)

**ძმათა ავსარქისოვების**
**ბალსა და სანერგეში**

მოიპოვება საზღვარ-კარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიმის ხეხილი.

კატალოგები იგზავნება მოთხოვნისა-ნანავე უსასყიდლოდ.

მისამართი: სად. სკრა, ამერი-კავკასიის რკინის გზისა.

(15—55—7) **ავსარქისოვი**

**გამოვიდა და იყიდება ქ. ბ. ნ. კით. გამ. საზოგადოებისა და სხ.**

✦ წიგნის მაღაზიებში ✦

**დუტუ მეგრელის**
ნაწერები

I წიგნი **ლექსები** . . 70 კაპ.
II წიგნი **მოთხრობები** . 70 კაპ.

ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების“ რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით:

**Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили.**

(10—დ-მ.—10)